უძრავი ქონების ნასყიდობის ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

დღეს, ორიათას თოტხმეტი წლის შვიდ აგვისტოს, წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო შემდეგ მხარეებს შორის:

სერგო გალუსტიანი (დაბ. 06.02.1986წ. მცხ. თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 55 ბ. 10. პირადი №11001010388) შემდგომში „გამყიდველი“,

შპს „სპრინგი” – რესტორანი ბეღელი (რეგ. მისამართზე: თბილისი, თამარაშვილის I შეს. 19,1 შეს. 19. ს/კ 205066845) წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, ჯუმბერ ამაშუკელის (დაბ. 19.10.1949წ. მცხოვრები: თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 2 ბ. 31 პირადი №01018002954) მიერ, შემდგომში „მყიდველი“.

მხარეები აფორმობენ ხელშეკრულებას უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ.

ხელშეკრულების საგანია, **სერგო გალუსტიანის** საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე: **თბილისი, ქუჩა თამარაშვილი, შესახვევი 1, (ნაკვეთი 09.004)**

უძრავი ქონების მახასიათებლებია: სარეგისტრაციო ზონა – თბილისი 01, სექტორი – ვაკე 14, კვარტლის 07; ნაკვეთი 009/004, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი – 269.00 კვ.მ; ნაკვეთის წინა: 09, შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა-მშენებარე;

მხარეთა შეთანხმებით ნასყიდობის ფასია შეადგენს 145 000 (ასორმოცდახუთი ათასი) ლარს, რომლის გადახდაც მოხდება ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტამდე, რომლის უნაღდო ანგარიშსწორების გზით, გამყიდველის, (კომპანიის) მიერ მესაკუთრის ანგარიშზე ჩარიცხვით.

ნასყიდობის საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის გამყიდველს, რაც დასტრუდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი № 01.14.07.009.004 განაცხადის ნომერი №882014414427 - მომზადების 05.08.2014წ.

მყიდველისათვის ცნობილია ის გარემოება, რომ ნასყიდობის საგანზე ვრცელდება შემდეგი ვალდებულება:

გამყიდველი: სახელმწიფო
მყიდველი: სერგო გალუსტიანი; 11001010388

საგანი: მიწის ნაკვეთი ფართით: 269 კვ.მ. და მასზე მდებარე მშენებარე შენობა-ნაგებობა; „ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 05.08.2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ჯუმბერ ამაშუკელი

სერგო გალუსტიანი

მყიდველი სრულად იღებს და იზიარებს ნასყიდობის საგანზე სახელმწიფოს მიმართ არსებულ ვალდებულებას, მისთვის ცნობილია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები, რომლიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს და იგი თანახმაა შეიძინოს ნასყიდობის საგანი ამავე ვალდებულებებით.

ნასყიდობის საგანი არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ჩანაწერებით.

ნასყიდობის საგანი ნივთობრივად უნაკლოა. ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის.

ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რეგისტრაციისათვის წარედგინება საჯარო რეესტრს, დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

გამყიდველი
სერგო გალუსტიანი
Bank of Georgia,
SWIFT: BAGAGE22;
GE55BG0000000775072500

მყიდველი
შპს „სპრინგი" – რესტორანი ბეღელი
აღმასრულებელი დირექტორი
ჯუმბერ ამაშუკელი

ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

05 აგვისტო, 2014 წ.

ერთი მხრივ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში "სააგენტო") წარმოდგენილი სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავე გვანცა ნასყიდაშვილის (პ.ნ. 01019023615) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2014 წლის 03 ივნისს გაცემული N4/19952 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **სერგო გალუსტიანი (პ.ნ.11001010388)** (*შემდეგში,* "მყიდველი"), თითოეული წოდებული, როგორც "მხარე", ხოლო ერთობლივად, როგორც "მხარეები",

"სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანების, ,,ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, პირველ შესახვევში (ნაკვეთი 09/1004) მდებარე 269.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული მშენებარე შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ" სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 14 ივლისის N1/1-1576 ბრძანებისა და აუქციონში გამარჯვების დადასტურების №[1]2014071052112 ოქმის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში, ,,ხელშეკრულება").

მუხლი 1. დეფინიციები

,,ხელშეკრულებაში" გამოყენებულ სიტყვებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ბრძანება - ,,ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, პირველ შესახვევში (ნაკვეთი 09/1004) მდებარე 269.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული მშენებარე შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ" სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 14 ივლისის N1/1-1576 ბრძანება.

აუქციონის დასრულების თარიღი - 2014 წლის 28 ივლისი, როცა „მყიდველმა“ გაიმარჯვა „ბრძანების“ საფუძველზე გამოცხადებულ აუქციონში.

ქონება - ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, პირველ შესახვევში (ნაკვეთი 09/1004) მდებარე 269.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული მშენებარე შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.14.07.009.004).

საპრივატიზებო თანხა - 140 000 (ას ორმოცი ათასი) ლარი, რომელიც შედგება საპრივატიზებო შემოსულობისა და "გამყიდველის" ანაზღაურებისგან.

საგარანტიო თანხა - "მყიდველის“ მიერ "ბრძანების“ შესაბამისად აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი 12 000 (თორმეტი ათასი) ლარი.

რეესტრი - სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო".

მუხლი 2. "ხელშეკრულების" საგანი

"გამყიდველი" "მყიდველს" გადასცემს "ქონებაზე" საკუთრების უფლებას "ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პირობით.

მუხლი 3. საპრივატიზებო თანხა და მისი გადახდის წესი

3.1. "ბრძანების“ თანახმად, "მყიდველს" ეკისრება ვალდებულება გადაუხადოს „საპრივატიზებო თანხა“ ელექტრონული აუქციონის დასრულების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2. "მყიდველმა“ საპრივატიზებო თანხის გადახდა უნდა განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო”
ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100 / ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღები ბანკი: სს ,,საქართველოს ბანკი”; მიმღები ბანკის კოდი: №BAGAGE22

3.3. ხელშეკრულების 3.2. მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, "გამყიდველი" წერილობით აცნობებს "მყიდველს".

3.4. "მყიდველმა" საპრივატიზებო თანხის გადახდისას უნდა მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული ერთ-ერთ რეკვიზიტი იმგვარად, რომ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით დგინდებოდეს თანხის გადახდის მიზნობრიობა.

3.5. მყიდველის მიერ გადახდილი საგარანტიო თანხა ითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3.6. საპრივატიზებო თანხა "მყიდველის" მიერ გადახდილად მიიჩნევა შესაბამის საბანკო ანგარიშებზე ასახვის შემდგომ.

მუხლი 4. "მხარეთა" უფლება-მოვალეობები

4.1. "მყიდველი" ვალდებულია:

4.1.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში ,,ქონებაზე" განახორციელოს არანაკლებ 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

4.1.2. ხელშეკრულების 4.1.1. მუხლით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის: ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების უზრუნველსაყოფად) აუქციონის ჩატარებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წარმოადგინოს 4.1.1. მუხლით გათვალისწინებული საინვესტიციო თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.1.1. მუხლით განსაზღვრულ ვალდებულების შესრულების ვადას;

4.1.3. დაფაროს "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებებისა და საკუთრების უფლების რეგისტრაციის, აგრეთვე, "ხელშეკრულების" გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი;

4.1.4 „ხელშეკრულების" 4.1.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურდება განახორციელოს "საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს

/თავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ/ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ".

4.2. "მხარეები" ვალდებულნი არიან შეასრულონ "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, "ხელშეკრულებით" დათქმულ დროსა და ადგილას.

მუხლი 5. "ხელშეკრულების" განსაკუთრებული პირობები

5.1 "მყიდველს" "ქონებაზე" საკუთრების უფლება გადაეცემა ,,ხელშეკრულების" "რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან; ამასთან, "ქონებაზე" საკუთრების უფლება "მყიდველს" გადაეცემა "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

5.2. "მყიდველს" "ქონება" მფლობელობაში გადაეცემა "ხელშეკრულების" "რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან.

5.3. "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება "გამყიდველის" მიერ მათი შესრულების წერილობით ან ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან.

5.4. ხელშეკრულების 4.1.1. მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა „გამყიდველს" წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს "საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ/ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ".

5.5. „გამყიდველის" მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „მყიდველი" „გამყიდველს" წარუდგენს ინფორმაციას „ხელშეკრულებით" ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;

5.6. "გამყიდველი" ვალდებულია, "მყიდველის" მიერ "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით

ან ელექტრონულად დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც "რეესტრში" შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

5.7. „მყიდველს" „ქონების" საპრივატიზებო თანხის გადახდამდე, „გამყიდველის" თანხმობის გარეშე არ აქვს უფლება, გადაცემული „ქონება" გაასხვისოს, გასცეს სარგებლობის უფლებით, განკარგოს ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, ის პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

5.8. "მყიდველის" მიერ "ხელშეკრულებით" განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის" გადახდის შემდეგ, "ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში "მყიდველის" მიერ "ქონების" გასხვისების შემთხვევაში, "მყიდველი" ვალდებულია, "ქონება" ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო "გამყიდველს" და "მყიდველს" შორის დადებული "ხელშეკრულებით". სხვა პირობებით დადებული ხელშეკრულება იქნება ბათილი. "ქონების" გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს "გამყიდველს".

5.9. „მყიდველის" მიერ "ხელშეკრულებით" განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის" გადახდის შემდეგ, "ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში "მყიდველის" მიერ "ქონების" ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე "მყიდველთან" ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის. "ქონების" ნაწილობრივ გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს "გამყიდველს".

5.10. „მხარე" უფლებამოსილია, „ქონების" „საპრივატიზებო თანხის" გადახდის შემდგომ, „სააგენტოს" წერილობითი თანხმობის არსებობობის შემთხვევაში, საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით იპოთეკით დატვირთოს „ქონება". ამათან, „ქონების" იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში იპოთეკარის მიმართ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „მყიდველის" ვალდებულებები.

მუხლი 6. "მხარეთა" პასუხისმგებლობა და "ხელშეკრულების" შეწყვეტა

6.1. აუქციონის შედეგები უქმდება და მყიდველის მიერ გადახდილი საგარანტიო თანხა ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში თუ მყიდველმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი

განაცხადა ან მყიდველი დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის დადგენილ საპრივატიზებო თანხას. აღნიშნულ შემთხვევაში, მოქმედებს ხელშეკრულების 6.7. მუხლით გათვალისწინებული წესი.

6.2. ,,ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში "მყიდველი" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნას გადახდილი.

6.3. ,,ხელშეკრულების" 3.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, "მყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4. ,,ხელშეკრულების" 4.1.1. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ,,მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0;1 % დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.5. ,,ხელშეკრულების" 4.1.2. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ,,მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.6. "ხელშეკრულებით" ნაკისრი სხვა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თითოეული დარღვეული ვალდებულებისათვის „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.7. "მყიდველის" მიერ ,,ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში „გამყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს "ხელშეკრულება". ასეთ შემთხვევაში, "ქონება" უბრუნდება "გამყიდველს". "მყიდველს" არ უნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.

6.8. "ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს "მყიდველს" "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. "მხარეები" თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან "ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. "ხელშეკრულების" მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება "გამყიდველის" ან "მყიდველის" კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ "მხარის" კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ "მხარეს" არ შეეძლო.

7.2. "მხარე", რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე "მხარეს" ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 72 საათისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, "მხარე" კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ "მხარის" მიერ "ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში "მხარეების" მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.5. ფორს-მაჟორული გარემოებების 1 (ერთი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, "მხარეები" უფლებამოსილნი არიან განიხილონ "ხელშეკრულების" შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების, ხოლო 3 (თვეზე) მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, „ხელშეკრულების" შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 8. შეტყობინებები

8.1. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა "მხარეებს" შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნას პირადად, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

8.2. "ხელშეკრულების" 8.1. მუხლის მიზნებისათვის, "მხარეთა" რეკვიზიტებია:

8.2.1. **"გამყიდველის" შემთხვევაში:**

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"

მისამართი: გ. ჭანტურიას ქ. №12, ქ. თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 299 11 05 / +995 32 299 11 11

8.2.2. **"მყიდველის" შემთხვევაში:**

სერგო გალუსტიანი

ტელ: ---------- 593 308039

მის.:---------- [illegible] 64.

8.3. "მყიდველი" ვალდებულია, შეატყობინოს "გამყიდველს" მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, "გამყიდველის" მიერ "მყიდველის" ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

მუხლი 9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

9.1. "ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. "მხარეთა" შორის დავის არსებობის შემთხვევაში, სადავო საკითხი წყდება "მხარეთა" შორის შეთანხმებით. ასეთი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სხვა დებულებები

10.1. "ხელშეკრულებაში" ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა დასაშვებია "მხარეთა" წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც გაფორმდება, როგორც ცალკე ხელშეკრულება და დაერთვება ამ "ხელშეკრულებას", როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

10.2. "ხელშეკრულების" ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს "ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს. მისთვის დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია "ხელშეკრულებისთვის".

10.3. "ხელშეკრულების" ცალკეული პუნქტების გაუქმება და/ან ბათილობა არ იწვევს "ხელშეკრულების" სხვა პუნქტების გაუქმებას და/ან ბათილობას.

10.4. "ხელშეკრულების" ერთ-ერთი "მხარის" მიერ "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

10.5. სათაურები "ხელშეკრულებაში" მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

10.6. "ხელშეკრულება" გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა "მხარეებს" და "რეესტრს".

10.7. "ხელშეკრულება" ძალაში შედის "მხარეთა" მიერ მისი ხელმოწერისა და "რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს "გამყიდველის" მიერ "მყიდველის" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურების მომენტამდე და/ან "ხელშეკრულების" სხვა საფუძვლით შეწყვეტამდე.

„გამყიდველი“
სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
წარმომადგენელი:
გვანცა ნასყიდაშვილი

"მყიდველი"
სერგო გალუსტიანი

დანართი N1

ანგარიშსწორებისას მისათითებელი რეკვიზიტები:

1. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი .
2. მხარის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი.
3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140831540
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	07.08.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; +995 (32) 2479191 ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	03611091009314

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორიათას თოთხმეტი წლის შვიდ აგვისტოს ნოტარიუსს ანჟელა მანიას, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: *ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, ჯ"შმბერ ამაშუკელმა და სერგო გალუსტიანმა* მათ წარმოადგინა *2014 წლის 07 აგვისტოს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (სამი ეგზემპლარი)* და განაცხადეს, რომ სურთ ამ *ხელშეკრულებაზე* მათი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მხარეების პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწრმუნდი, რომ მე ნამდვილად *ჯ"შმბერ ამაშუკელმა (დაბ. 19.10.1949წ. თბილისში. პ/№ 01018002954, რეგ.მისამართზე: ქ. თბილისი, გ. რჩეულიშვილის ქ. კორ. 2, ბ. 31) და სერგო გალუსტიანმა (დაბ. 06.02.1986 წ. თბილისში, პ/№ 11001010388, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. № 55, ბ.10) მომმარეს.* მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. რის შემდეგაც მათ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავისი ხელმოწერა წინამდებარე *ხელშეკრულებაზე.* მე მათ განვუმარტე, ნოტარიუსი ანჟელა მანია *ხელშეკრულების* შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას და ვამოწმებ მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას მასზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" – ერთი ეგზემპლარისთვის 8(რვა) ლარი – მუხლი 31, დღგ 1.44 ლარი -თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ".

ნოტარიუსი */ანჟელა მანია/*

KA021765770011714

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N4/30276

13 / აგვისტო / 2014 წ.

შპს 'სპრინგი' - რესტორანი ბეღელის (ს/კ 205066845)
აღმასრულებელ დირექტორს ჯუმბერ ამაშუკელს (01018002954)
ქ. თბილისი, თამარაშვილი 1 შეს. 19,1 შეს. 19
ალტ.მის:ქ. თბილისი, გ. რჩეულიშვილის ქ. კორპ. 2 ბ.31
ტელ:599090303

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა“ (შემდგომში - სააგენტო) და ფიზიკურ პირ სერგო გალუსტიანს (პ/ნ 11001010388, შემდგომში - მყიდველი) შორის 2014 წლის 5 აგვისტოს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება), რომლის თანახმადაც მყიდველს პირობადებულ საკუთრებაში გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, პირველ შესახვევში (ნაკვეთი 09/1004) მდებარე 269.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული მშენებარე შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.14.07.009.004, შემდგომში - ქონება). ხელშეკრულების 3.1 მუხლის თანახმად, აუქციონის დასრულებიდან (28.07.2014წ.) 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში (27.08.2014წ.) მყიდველს უნდა გადაეხადა საპრივატიზებო თანხა 140 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი, რაც 2014 წლის 29 ივლისის მდგომარეობით სრულად იქნა დაფარული. შესაბამისად, დასტურდება ხელშეკრულების 3.1 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ხელშეკრულების 5.8 მუხლის თანახმად, ახალ მესაკუთრეზე ქონების გასხვისებისას აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო გამყიდველსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულებით. ვინაიდან, 2014 წლის 7 აგვისტოს სააგენტოს ეცნობა, რომ მყიდველმა ქონება გაასხვისა შპს „სპრინგი" - რესტორან ბეღელზე (ს/კ 205066845, შემდგომში - კომპანია), რაც ასევე დასტურდება საჯარო რეესტრის მონაცემებით, ამიერიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს თქვენი კომპანია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგახსენებთ, რომ ნაკისრი რიგი ვალდებულებების შესრულების გარდა, ხელშეკრულებით 4.1.2 მუხლის თანახმად, გეკისრებათ ვალდებულება, ხელშეკრულების 4.1.1 მუხლით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის: ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების უზრუნველსაყოფად) აუქციონის ჩატარებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წარმოადგინოთ 4.1.1 მუხლით გათვალისწინებული საინვესტიციო თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.1.1 მუხლით განსაზღვრულ ვალდებულების შესრულების ვადას.

შესაბამისად, გთხოვთ, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და პირობებით წარმოადგინოთ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია. წინაღმდეგ შემთხვევაში, შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების 6.5 მუხლი ითვალისწინებს პირგასამტეხლოს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

პატივსცემით,

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

დიმიტრი ქუმსიშვილი

VTB

საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება
N 615.1622695.001

თბილისი

თარიღი: 19.08.2014

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" (შემდგომ „გარანტი"), წარმოდგენილი სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" ცენტრალური ფილიალის (თბილისი, ჭანტურიას 14) წარმომადგენლის თავცელიშვილი რომანს მიერ, რომელიც მოქმედებს სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" გენერალური დირექტორის 2012 წლის 24 დეკემბრის N34 ბრძანების საფუძველზე, ერთი მხრივ, და შპს **'სპრინგი'-რესტორანი ბელელი** (საიდენტიფიკაციო ნომერი 205066845) (შემდგომ „პრინციპალი") წარმოდგენილი ჯუმბერ ამაშუკელის (პირადი ნომერი 01018002954) სახით, მეორე მხრივ, შემდგომ ერთად „მხარეებად" წოდებულნი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომ „ხელშეკრულება") შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, გარანტი იღებს ვალდებულებას პრინციპალს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მისცეს საბანკო გარანტია, ხოლო პრინციპალი იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური, აუნაზღაუროს გარანტს თანხა, რომელიც აუნაზღაურდება ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თანხები და სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 2. საბანკო გარანტიის პირობები

2.1 საბანკო გარანტია გაიცემს პრინციპალის დავალებით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომ „ბენეფიციარი") სასარგებლოდ მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში;

2.2 ვალდებულება, რომლის სათანადოდ შესრულებას უზრუნველყოფს საბანკო გარანტია: ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის **2014 წლის 5 აგვისტოს** გაფორმებული **ნასყიდობის ხელშეკრულებით (ხელშეკრულების პირობების თანახმად ბენეფიციარი პრინციპალს გადასცემს ქ.თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, პირველ შესახვევში (ნაკვეთი 09/1004) მდებარე 269.00 კვ.მ არასახოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებულ მშენებარე შენობა–ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონება) საკადასტრო კოდი: 01.14.07.009.004)** საკუთრების უფლებას) განსაზღვრული ვალდებულებების პრინციპალის მიერ ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფა;

2.3 საბანკო გარანტიის თანხა: **15 000,00;**

2.4 საბანკო გარანტიის ვალუტა: ლარი;

2.5 საბანკო გარანტიის ძალაში შესვლა:

ა) საბანკო გარანტიის ძალაში შესვლის თარიღი: გაცემისთანავე;

ბ) საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის შემთხვევაში, საბანკო გარანტია ძალაში შედის სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში" ბენეფიციარის მიერ პრინციპალის ანგარიშზე ავანსის სახით საბანკო გარანტიის თანხის ჩარიცხვისთანავე.

2.6 საბანკო გარანტია მოქმედებს **21.12.2015**–მდე, თუ მანამდე არ შეწყდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით.

2.7 საზღაური საბანკო გარანტიის მიღებისათვის (საპროცენტო განაკვეთები):

ა) ერთჯერადი საკომისიო: **662,88** ლარი;

ბ) საბანკო გარანტიით სარგებლობის საპროცენტო განაკვეთი: 3,00 % (რომელიც გადახდილ იქნება საბანკო გარანტიის გაცემისთანავე);

გ) გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხის საპროცენტო განაკვეთი: გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილ თანხას გადახდის დღიდან ერიცხება წლიური 36% (ოცდათექვსმეტი) პროცენტი.

დ) ვადაგადაცილების პირგასამტეხლო: ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხებს პირგასამტეხლო არ ერიცხება.

2.8 ვადები:

ა) საბანკო გარანტიით სარგებლობის პროცენტის დაფარვა: გადახდილია საბანკო გარანტიის გაცემისთანავე ;

ბ) ერთჯერადი საკომისიოს დაფარვა: გაცემისთანავე;

გ) იმ თანხის დაფარვა, რომელიც გარანტის მიერ აუნაზღაურდა ბენეფიციარს: პრინციპალის მიერ გარანტისაგან აღნიშნულის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის თანხის გადახდის მომენტისათვის პრინციპალს სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიაში" გახსნილ რომელიმე ანგარიშზე გააჩნია თანხა, გარანტი უფლებამოსილია მოთხოვნა (მთლიანად ან ნაწილობრივ და მათ შორის ამავე პუნქტის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცენტი) დაუყოვნებლივ დაიკმაყოფილოს პრინციპალის ანგარიშიდან თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრის გზით (მათ შორის პრინციპალის ფულადი ვალდებულების თანხისაგან განსხვავებულ ვალუტაში არსებული ანგარიშიდან).

დ) გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილ თანხაზე დარიცხული პროცენტის დაფარვა: იმ თანხის გადახდასთან ერთად, რომელსაც ერიცხება აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი.

მუხლი 3. საპროცენტო სარგებელი

3.1 ხელშეკრულების 2.7 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება გარანტიის ფაქტიურ ნაშთზე, წელიწადში 365 დღისა და მისი ფაქტიური ხანგრძლივობის (დღეებში) საფუძველზე.

3.2 გარანტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების 2.7 პუნქტით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთ(ებ)ი, თუ მნიშვნელოვნად შეიცვალა საერთო ეკონომიკური ვითარება ან გამოიცა ნორმატიული აქტი საფინანსო, საკრედიტო ან სავალუტო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით. აღნიშნულის შესახებ გარანტი ატყობინებს პრინციპალს. შეცვლილი საპროცენტო განაკვეთი დარიცხება გარანტის შეტყობინების მიღებიდან 30 დღის შემდეგ.

3.3 იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების 2.7 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცენტი პრინციპალის მიერ გადახდილია წინასწარ, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, წინასწარ გადახდილი პროცენტი პრინციპალისათვის დაბრუნებას არ ექვემდებარება.

3.4 იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების 2.7 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პროცენტს პრინციპალი იხდის ერთჯერადად და ის უკვე გადახდილია, საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შემთხვევაში, პრინციპალი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა 2.7 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულსა და გაზრდილ საპროცენტო განაკვეთს შორის გარანტისაგან შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს.

3.5 გარანტი უფლებამოსილია არაუმეტეს წლიური 2%-ით გაზარდოს საპროცენტო განაკვეთ(ებ)ი პრინციპალის მიერ ხელშეკრულების ან/და გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაშიც, რის შესახებაც ატყობინებს პრინციპალს.

მუხლი 4. განსაკუთრებული პირობები

4.1 პრინციპალი ადასტურებს, რომ პრინციპალი ვალდებულია აუნაზღაუროს გარანტს არამარტო ის თანხა რომელიც გარანტმა გადაუხადა ბენეფიციარს საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისად, არამედ ის თანხაც, რომელიც გარანტმა გადაუხადა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო. პრინციპალი ასევე ვალდებულია აუნაზღაუროს გარანტს საბანკო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარანტის მოთხოვნისთანავე.

4.2 თუკი გარანტის მიერ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შიდასაბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხით უზრუნველყოფის შესახებ, პრინციპალი ადასტურებს, რომ გარანტი, პრინციპალის თანხმობის გარეშე, უფლებამოსილია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში" არსებული პრინციპალის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე არსებული ფულადი სახსრები ოდენობით გადაიტანოს გარანტის შიდასაბანკო ანგარიშზე საბანკო გარანტიის გაცემისთანავე. თუ პრინციპალის ანგარიშ(ებ)ზე არსებული ფულადი სახსრები განსხვავდება საბანკო გარანტიის თანხის ვალუტისაგან, პრინციპალი უფლებამოსილებას ანიჭებს გარანტს მისი თანხმობის გარეშე და მის სარჯზე მოახდინოს ერთ სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" კომერციული კურსის შესაბამისად და გადაიტანოს გარანტის შიდასაბანკო ანგარიშზე.

4.3 იმ შემთხვევაში თუ პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფას წარმოადგენს გარანტის შიდასაბანკო ანგარიშზე გადატანილი პრინციპალის ფულადი სახსრები, ბენეფიციარის მიერ თანხის მოთხოვნის შემთხვევაში, პრინციპალი თანახმაა და უფლებამოსილებას ანიჭებს გარანტს, მოთხოვნილი თანხის ბენეფიციარისათვის ანახღაურების მიზნით, გარანტის შიდასაბანკო ანგარიშზე გადატანილი ფულადი სახსრებით მოახდინოს ბენეფიციარისათვის თანხის გადახდა, გარანტის შიდასაბანკო ანგარიშზე გადატანილი ფულადი სახსრების პრინციპალის ანგარიშზე დაბრუნების გარეშე. გარანტი იღებს ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების შეწყვეტის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარანტის ვალდებულება წყდება წინამდებარე პუნქტით

გათვალისწინებული გზით) არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა გარანტის შიდასაბანკო ანგარიშზე გადატანილი ფულადი სახსრები გადაიტანოს პრინციპალის ნებისმიერ მიმდინარე ანგარიშზე რომელიც გახნილია სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში".

4.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხების დაფარვის მიზნით, პრინციპალის ნებისმიერი ანგარიშიდან ანგარიშსწორების ოპერაციისათვის განკუთვნილი საკომისიო და სხვა გამოქვითვა თუ დაკავება განხორციელდება პრინციპალის ხარჯზე.

4.5 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად შემოტანილი ან ჩარიცხული თანხებიდან პირველ რიგში იფარება საკომისიო, შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი, საბანკო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბოლოს თანხა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიის საფუძველზე. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს გარანტის შეხედულებისამებრ.

მუხლი 5. მხარეთა უფლება– მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან სათანადოდ შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება.

5.2 პრინციპალი ვალდებულია დროულად და სრულად დაფაროს თანხა, რომელიც აუნაზღაურდება ბენეფიციარს, საპროცენტო სარგებელი, საკომისიო და სხვა გადასახდელები.

5.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გარანტი უფლებამოსილია მოსთხოვოს პრინციპალს საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია. აკონტროლოს უზრუნველყოფაში არსებული ობიექტების მდგომარეობა. პრინციპალი ვალდებულია გარანტის მოთხოვნის საფუძველზე, გარანტის მიერ დადგენილ ვადებში (მაგრამ არანაკლებ 6 თვეში ერთხელ) და გარანტის მიერ დადგენილი ფორმით, წარუდგინოს გარანტს საფინანსო ანგარიშგება, ამონაწერები ყველა იმ საბანკო ანგარიშებიდან, რომელიც გახსნილი აქვს რეზიდენტ თუ არარეზიდენტ ფინანსურ ინსტიტუტებში, სხვა ანგარიში და დოკუმენტაცია მისი ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციების შესახებ (საგადასახადო ანგარიშგების ჩათვლით), გარანტის შესაბამისი ორგანოების (დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო, აქციონერთა/პარტნიორთა კრება) გადაწყვეტილებები, აგრეთვე ანგარიში და დოკუმენტები საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, სხვა ინფორმაცია და დოკუმენტები, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის გარანტი. გარანტი უფლებამოსილია შეამოწმოს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილ ვალდებულებასთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაოები.

5.4 პრინციპალი ვალდებულია გარანტისათვის შექმნას ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების პირობები, პრინციპალის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტების რეგულარული გაცნობის, მის შენობა-ნაგებობებში თავისუფალი შესვლის, პრინციპალის სათავსოების, მოწყობილობების, სალაროსა და აგრეთვე, უზრუნველყოფის საგნის დათვალიერება/შემოწმების ჩათვლით.

5.5 გარანტი ვალდებულია, დაუყონებლივ აცნობოს პრინციპალს საგარანტიო თანხის გადახდაზე ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შესახებ და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ. პრინციპალმა გარანტს 2 (ორი) დღის განმავლობაში წერილობით უნდა დაუდასტუროს ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ და თუ არ ეთანხმება ბენეფიციარის მოთხოვნას, უნდა აღნიშნოს თუ რომელ ნაწილში არ ეთანხმება და მიუთითოს უსაფუძვლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

5.6 პრინციპალი ვალდებულია, დაუყონებლივ წერილობით აცნობოს გარანტს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შესრულებაში შეფერხებების და დაბრკოლებების შესახებ, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს გარანტისათვის ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენა საგარანტიო თანხის გადახდაზე.

5.7 პრინციპალმა დაუყონებლივ უნდა წარუდგინოს გარანტს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

5.8 პრინციპალი თანახმა და უფლებამოსილებას ანიჭებს გარანტს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფულადი ვალდებულების შესრულების თარიღის დადგომისას, გარანტმა მოახდინოს მოთხოვნის დაკმაყოფილება პრინციპალის მიმდინარე ანგარიშზე და/ან სხვა ანგარიშზე არსებული თანხით. გარანტი უფლებამოსილია შესაბამისი თანხა, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს პრინციპალის ნებისმიერი ანგარიშიდან (მათ შორის პრინციპალის ფულადი ვალდებულების თანხისაგან განსხვავებულ ვალუტაში არსებული ანგარიშიდან). ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება პრინციპალის ფულადი ვალდებულების ვალუტისაგან, გარანტი უფლებამოსილია, პრინციპალის ხარჯზე, მოახდინოს ერთ სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" კომერციული კურსის შესაბამისად. კონვერტაციის საკომისიოც (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე უაქცეპტოდ ჩამოიწერება პრინციპალის ნებისმიერი ანგარიშიდან.

5.9 პრინციპალს უფლება არ აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, გარანტისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, იკისროს სხვა სასესხო ვალდებულებები მესამე პირების მიმართ, აიღოს მესამე პირებისაგან საბანკო გარანტიები, მოახდინოს სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიაში" აკუმულირებული სახსრების სხვა ფინანსურ დაწესებულებაში საკუთარ ანგარიშზე გადატანა.

5.10 პრინციპალი ვალდებულია წინასწარ აცნობოს გარანტს:

5.10.1 იურიდიული და/ან ფაქტობრივი მისამართის (ადგილსამყოფელის) შეცვლისა და იქ გადასვლის თარიღის შესახებ;

5.10.2 ფინანსურ ან/და ქონებრივ მდგომარეობაში მოსალოდნელი არსებითი ცვლილებების, ასევე იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ასეთი ცვლილებები;

5.10.3 საზოგადოების ხელმძღვანელობაში და პარტნიორთა შორის მოსალოდნელი ცვლილებების, ასევე წესდებაში შესატანი ცვლილებების შესახებ;

5.10.4 იურიდიული პირის დაფუძნების, იურიდიული პირის წილის (აქციების) შეძენის შესახებ;

5.10.5 თუ მესამე პირი სთხოვს მას რაიმე ვალდებულების ვადამდე შესრულებას ან ვალდებულების რესტრუქტურიზაციას;

5.10.6 ყველა ისეთი გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ვალდებულებების დროულად და ჯეროვნად შესრულებას პრინციპალის მიერ.

მუხლი 6. უზრუნველყოფა

6.1 პრინციპალმა უნდა უზრუნველყოს უზრუნველყოფის საგნის (გირავნობის/იპოთეკის საგნის) სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება. თუ უზრუნველყოფის საგანი განადგურდა, დაზიანდა, ღირებულება შეუმცირდა ან არსებობს რაიმე სხვა გარემოება (მესამე პირმა განაცხადა პრეტენზია ან შეიტანა სარჩელი უზრუნველყოფის საგანზე საკუთრების უფლების შეწყვეტის ან შეზღუდვის შესახებ და სხვა), რომელიც საფრთხეს უქმნის გარანტის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, სრული მოცულობით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა უზრუნველყოფის ხარჯზე, გარანტის მოთხოვნით, პრინციპალი ვალდებულია დაუყოვნებლივ შესთავაზოს გარანტს ამ უკანასკნელისთვის მისაღები დამატებითი ან/და სხვა უზრუნველყოფა.

6.2 თუ დაგირავებული/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ იქნება პრინციპალისადმი გარანტის მოთხოვნის დასაფარად ან/და დაგირავებული/იპოთეკით დატვირთული ქონების გარანტის საკუთრებაში გადასვლის შედეგად ამ ქონების ღირებულება მთლიანად არ დაფარავს გარანტის მოთხოვნის ოდენობას, გარანტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად არ ითვლება და გარანტს უფლება აქვს მოთხოვნა დაიკმაყოფილოს პრინციპალის ნებისმიერი ქონებით.

6.3 პრინციპალი თანახმაა, რომ მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გარანტმა იძულებითი აღსრულება მიმართოს პრინციპალის იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ გარანტმა, პირველ რიგში, იძულებითი აღსრულება დაიწყოს დაგირავებულ/იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე. გარანტი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს პრინციპალის სხვა ქონებაზე.

მუხლი 7. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

7.1 პრინციპალი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

7.1.1 პრინციპალი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

7.1.2 გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულების ყველა პირობას, ხელშეკრულებას დებს თავისი საჭიროებისათვის და არ მოქმედებს მესამე პირის დავალებით. გააჩნია ხელშეკრულების, უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ისა და განაცხადის ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და ამ მიზნით მას მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი თანხმობა/ნებართვა;

7.1.3 არ მონაწილეობს არცერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის, ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), მისთვის არ არის ცნობილი სხვა რაიმე გარემოების შესახებ, რითაც შეიძლება საფრთხე შეექმნას მის ქონებას, საქმიანობას და/ან მის მიერ ხელშეკრულების და/ან მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ან სხვა ხელშეკრულებების პირობების შესრულებას, გარდა იმ პროცესებისა, რომელთა შესახებაც პრინციპალმა ხელშეკრულების ხელმოწერამდე წერილობით აცნობა გარანტს. პრინციპალი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს გარანტს, თუკი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ზემოაღნიშნულ რომელიმე გარემოებას ექნება ადგილი.

7.1.4 პრინციპალი განუხრელად იცავს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამის საქმიანობას წარმართავს ყველა აუცილებელი ნებართვის/ლიცენზიის მიღების შემდეგ, საბუღალტრო აღრიცხვას აწარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარანტისათვის მისაღები ფორმით.

7.1.5 მის მიერ გარანტისათვის წარდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელშეკრულების დადების დღისათვის არსებული ვალდებულებების შესახებ არის უტყუარი და ზუსტი;

7.1.6 ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ ადრე დადებული ხელშეკრულებების პირობების დარღვევას;

7.1.7 ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, გარანტის ან სხვა პირთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან სხვა ნეგატიური გარემოების ზემოქმედების გარეშე;
7.1.8 პრინციპალისათვის ცნობილია, რომ გარანტისათვის ყალბი ცნობების მიწოდება საბანკო გარანტიის მიღების, ან მისი ოდენობის გაზრდის მიზნით, წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად დასჯად ქმედებას.
7.1.9 არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან ("შელ ბანკი").
7.2მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ გარანტი ხელშეკრულებას დებს ზემოთ მოცემულ განცხადებებზე, გარანტიებზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პრინციპალის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლის მას ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ხელშეკრულების დადების შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადებები, გარანტიები თუ აღმოჩნდა არასწორი, აწ გახდა არასწორი ნებისმიერ პერიოდში და/ან დაირღვა სხვა მუხლებით ან/და გარანტსა და პრინციპალს შორის გაფორმებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ეს საკმარისი საფუძველია გარანტის მიერ, თავისი შეხედულებისამებრ, საპროცენტო განაკვეთის გასაზრდელად არაუმეტეს წლიური 2%-ით.

მუხლი 8. კონფიდენციალურობა
8.1მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთმანეთის საქმიანი რეპუტაცია და არ გაახმაურონ ხელშეკრულების პირობები, გარდა ხელშეკრულებით და კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;
8.2 პრინციპალი უფლებამოსილებას ანიჭებს გარანტს პრინციპალთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, ასევე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური და/ან ნეგატიური):
ა) გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული 14.02.2005წ. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ, რეგირტრაციის #06/5-51) მონაცემთა ბაზაში შესატანად, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია შეიძლება გახდეს საჯარო და ხელმისაწვდომი სხვა პირისათვის.
ბ) გამოიყენოს ვითიბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის.
გ) გადასცეს მესამე პირებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების პრინციპალისაგან ამოღების მიზნებისათვის.
დ) გადასცეს მესამე პირს გარანტის მიერ პრინციპალის მიმართ ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.
8.3 ხელშეკრულებაზე ხელმოწერით პრინციპალი/პრინციპალის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი თანახმაა და აძლევს გარანტს უფლებას მიიღოს მისი პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.
8.4 პრინციპალი თანახმაა, რომ გარანტმა მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს სს "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში პრინციპალის შესახებ არსებული ინფორმაცია.

მუხლი 9. სხვა პირობები
9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე;
9.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით და ისინი განიხილებიან, როგორც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილები;
9.3 პრინციპალისათვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხის საპროცენტო განაკვეთის დაკისრება/გადახდევინება წარმოადგენს გარანტის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. შესაბამისად, გარანტი უფლებამოსილია არ მიიღოს გადაწყვეტილება პრინციპალისათვის გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხის საპროცენტო განაკვეთის სრულად ან ნაწილობრივ დაკისრების შესახებ.
9.4 პრინციპალის სასარგებლოდ შეცვლილი ნებისმიერი პირობა არ საჭიროებს პრინციპალის წერილობით თანხმობას.
9.5 პრინციპალი ვალდებულია შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე ანაზღაუროს ყველა ხარჯი, რომელიც გარანტმა გასწია პრინციპალის, იპოთეკის საგნის მესაკუთრის, დამგირავებლისა და თავდების იურიდიული ან/და ფაქტობრივი მისამართის დადგენის ან/და მათი ნებისმიერი ქონების მოძიების მიზნით.
9.6 ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
9.7 ნებისმიერი დავა გამომდინარე ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ბამდეილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს "საქართველოს საარბიტრაჟო პალატას" (თბილისი, საირმის ქ. #10, ბინა #31, საიდენტიფიკაციო #205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი.
მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).
არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.
იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფაში არსებული ქონების აუქციონზე რეალიზაციის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სპეციალისტად დაინიშნოს შპს "ემჯი ჰოლდინგი" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204572284), რომლის მომსახურების ანაზღაურება განისაზღვრება მოთხოვნის 4%-ით. აღნიშნული ოდენობიდან, დაინტერესებული პირი სპეციალისტს წინასწარ უხდის აღსასრულებელი მოთხოვნის 1%-ს. დარჩენილი 3%-ის გადახდა ხდება აუქციონის დამთავრებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. სპეციალისტის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს აღსრულებული მოთხოვნის 4%-ს. აღნიშნული შეთანხმება არ ართმევს კრედიტორს უფლებას უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის მიზნით მიმართოს სააღსრულებო ბიუროს/კერძო აღმსრულებელს.
9.8 გარანტი უფლებამოსილია პრინციპალის თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს პრინციპალის მიმართ ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნა. პრინციპალს უფლება არა აქვს გარანტის თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ხელშეკრულების საფუძველზე წარმომობილი ნებისმიერი ვალდებულება ან უფლება. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გადადის მხარეთა უფლებამონაცვლეებზე;
9.9 პრინციპალი გარანტს ნებისმიერ შეტყობინებას/დოკუმენტს გაუგზავნის ხელშეკრულების მე-10 მუხლში მითითებულ მისამართზე ფოსტით ან გადასცემს კურიერის მეშვეობით იმავე მისამართზე მდებარე გარანტის კანცელარიას. გარანტს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს პრინციპალს (პრინციპალის წარმომადგენელს, დირექტორს ან თანამშრომელს) ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი (კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით) ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლში მითითებულ მისამართზე ან პრინციპალის იმ მისამართზე რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მე–10 მუხლში მითითებულ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს პრინციპალის იმ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მე–10 მუხლში მითითებულ პრინციპალის წარმომადგენლის/დირექტორის საცხოვრებელ მისამართზე, ამავე პირის ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსზე, ელექტრონულ ფოსტაზე ან სხვა კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება პრინციპალისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა გარანტის სახელით გარანტის თანამშრომლის მიერ ტელეფონით მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება პრინციპალისათვის შეტყობინების ჩაბარებად.
შეტყობინება პრინციპალის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:

- პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის პრინციპალისათვის (პრინციპალის წარმომადგენელისთვის, დირექტორისთვის ან თანამშრომლისთვის) ჩაბარების დღეს.
- კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე–5 კალენდარულ დღეს, ან პრინციპალისათვის (პრინციპალის წარმომადგენლისათვის, დირექტორისათვის ან თანამშრომლისათვის) ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.

- ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - პრინციპალის (პრინციპალის წარმომადგენელის/დირექტორის) ელექტრონული ფოსტის სერვერიდან (მისამართიდან) გარანტის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.

გარანტის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი პრინციპალზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ გარანტს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე პრინციპალის (პრინციპალის წარმომადგენელის/დირექტორის) ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან პრინციპალი (პრინციპალის წარმომადგენელი/დირექტორი ან თანამშრომელი) უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან გარანტი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს პრინციპალის (პრინციპალის წარმომადგენელის/დირექტორის) ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას. თუ მოხდა მე-10 მუხლში მითითებული პრინციპალის (პრინციპალის წარმომადგენელის/დირექტორის) რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება გარანტს, შეტყობინება/დოკუმენტი პრინციპალის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც.

9.10 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას;

9.11 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა პრინციპალს, ხოლო ორი რჩება გარანტთან.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

"გარანტი"	"პრინციპალი"
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	შპს "სპრინგი"-რესტორანი ბეგელი
ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ.N14.	საიდენტიფიკაციო ნომერი 205066845
თავყელიშვილი რომან.	მისამართი: ქ.თბილისის ვაკის რ-ნში/ თამარაშვილის 1 შეს. 19,1 შეს. 19
(995 32) 2242424	ტელ.:577978887; ელ.ფოსტა: begeli10@mail.ru; ფაქსი:
	დირექტორი/წარმომადგენელი: ჯუმბერ ამაშუკელი (პირადი ნომერი 01018002954)
	დირექტორის/წარმომადგენლის მისამართი: თბილისი, რჩეულიშვილის ქუჩა , 2 კორპ. ბინა 31
	დირექტორის/წარმომადგენლის ტელეფონი: 577978887
	დირექტორის/წარმომადგენლის ელ.ფოსტა: begeli10@mail.ru
	დირექტორის/წარმომადგენლის ფაქსი: ---

